ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 30 სექტემბერი, 2019 წელი

დრო: 17:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: მწვანეთა მოძრაობის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
3. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციცია
4. ნატო არღვლიანი - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
5. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
6. დავით ციკრიძე - საერთშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
7. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
8. გიორგი ძამუკაშვილი - ფონდი ადგილის დედა

განსახილველი საკითხები:

1. წესდების ცვლილებები და ეთიკის კოდექსის განხილვა
2. კოორდინატორების დასახელება
3. სხვა საკითხები

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, მანანა დევიძემ. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრეს იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა პლატფორმის წესდებაში და რომელთა კენჭისყრაც უნდა მოხდეს საერთო კრებაზე. წესდების ცვილებების ყველა პუნქტზე დეტალური განმარტება გააკეთა ფონდი ლიბერალური აკადემია - თბილისის დირექტორმა და ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილემ, ლაშა ტუღუშმა. მან დეტალურად განიხილა ყველა ის ცვლილება, რომელიც წესდებაში შესატანად მომზადდა და უპასუხა მესამე სამუშაო ჯგუფის წევრების შეკითხვებს. წესდების ცვლილების პროექტი გადაეგზავნათ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს.

იმ ფაქტმა, რომ ფორუმმა შეიმუშავა ახალი ეთიკის კოდექსი, ეროვნული პლატფორმები ვალდებულნი იყვნენ, თავიანთი კოდექსი მოეყვანათ შესაბამისობაში აღნიშნულ დოკუმენტთან. შესაბამისად, კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც მომზადდა და რომელიც უნდა დამტკიცდეს საერთო კრებაზე , არის ცვლილებების პროექტი ეთიკის კოდექსში, რომელიც ასევე განიხილა და ყველა საკითხი განმარტა საკოორდინაციო საბჭოს თვმჯდომარის მოადგილემ. აღნიშნული დოკუმენტიც წესდებასთან ერთად გადაიგზავნება საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყველა წევრ ორგანიზაციასთან, რათა წინასწარ გაეცნონ იმ დოკუმენტებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საერთო კრებაზე.

მნიშვნელოვანი საკითხია პლატფორმის მიერ გრანტების გაცემის საკითხი, რომელიც წელს პირველად განხორციელდება, იმ ცვლილებების საშუალებით, რომელიც ფორუმმა მიიღო მიმდინარე წელს. ჯგუფის კოორდინატორმა აღნიშნული პოზიტიური ცვლილების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია ჯფუფის შეხვედრაზე წარმოდგენილ სზოგადოებას, ასევე გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მიკროგრანტების გაცემის საკითხთან დაკავშირებით.

შეხვედრის ბოლოს ჯგუფის წევრებმა დაასახელეს ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატები, რომელთა არჩევაც უნდა მოხდეს რიგით მე-10 საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 7 ოქტომბერს.

მესამე სამუშაო ჯგუფში, კოორდინატორობის კანდიდატები:

1. გრიგოლ აბრამია
2. ნინო ჩხობაძე
3. ნატა არღვლიანი

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე